

# ტესტი გეოგრაფიაში

## I ვარიანტი

### ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 59.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!




- კითხვა არჩევითი პასუხებით

### ინსტრუქცია


თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს რომელ მდინარეს ახასიათებს მკვეთრად გამოხატული წყალმცირობა ზაფხულში?



- ა. A
- ბ. B
- გ. C
- დ. D

2. რომელი ქარია აღნიშნული რუკაზე ისრებით?



- ა. ბრიზი
- ბ. ტორნადო
- გ. დასავლეთის
- დ. პასატი

3. 22 ივნისს, შუადღისას, სად იქნება მზის სხივის დაცემის კუთხე უფრო მეტი?


ა. ჩრდილოეთის პოლარულ წრეზე

ბ. ჩრდილოეთის ტროპიკზე

გ. სამხრეთის პოლარულ წრეზე

დ. სამხრეთის ტროპიკზე

#### 4. ჩამოთვლილთაგან რომელი კონტინენტის უდიდესი ნაწილი მდებარეობს ეკვატორულ და სუბეკვატორულ კლიმატურ სარტყლებში?



- ა. ჩრდილოეთი ამერიკის
- ბ. სამხრეთი ამერიკის
- გ. აზიის
- დ. ავსტრალიის

5. როგორი ტიპის ეკოსისტემას მიეკუთვნება ფიჩორა-პალიასტომის მონაკვეთი?

ა. ტყის

ბ. ჭაობის

გ. მთის

დ. გლაციალურს

6. ატმოსფეროს რომელ ფენაში ყალიბდება ამინდი?

ა. ტროპოსფეროში

ბ. სტრატოსფეროში

გ. იონოსფეროში

დ. თერმოსფეროში



7. ჩამოთვლილთაგან რომელია ფართობით ყველაზე დიდი დაბლობი?



ა. ამაზონის

ბ. ლა-პლატის

გ. ინდ-განგის


დ. მისისიპის

8. რომელი ხელსაწყოთი აფიქსირებენ A სურათზე გამოსახულ ბუნებრივ მოვლენას?



- ა. თერმოგრაფით
- ბ. ბაროგრაფით
- გ. სეისმოგრაფით
- დ. ჰიგროგრაფით

9. სქემის მიხედვით განსაზღვრეთ ჰაერის ტემპერატურა B წერტილში, თუ ცნობილია, რომ ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი ყოველ 100 მეტრზე  $0,6^{\circ}\text{C}$ -ია.



10. ჩამოთვლილთაგან რომელია საზოგადოებრივი გეოგრაფიის დარგი?

ა. ჰიდროლოგია

ბ. გლაციოლოგია

გ. მოსახლეობის გეოგრაფია

დ. სპელეოლოგია

11. რისი გადაზიდვა არ ხორციელდება მილსადენი ტრანსპორტით შორ მანძილზე?

ა. ნავთობის

ბ. სპილენძის მადნის

გ. ბუნებრივი აირის

დ. წყლის

12. რომელი საავიაციო მარშრუტი გაივლის საქართველოს საჰაერო სივრცეზე?

ა. პარიზი - სტამბული

ბ. პარიზი - რიო-დე-ჟანეირო

გ. პარიზი - ჰონგ-კონგი

დ. პარიზი - იოჰანესბურგი

13. რომელ დასახლებულ პუნქტში არ არის გაყვანილი სამგზავრო საკიდი საბაგირო გზა?


ა. თბილისში

ბ. ჭიათურაში

გ. აბასთუმანში

დ. ფოთში

14. რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების არეალია დატანილი რუკაზე?



- ა. ჩაის
- ბ. ყავის
- გ. ბრინჯის
- დ. სოიოს



15. რომელი სახელმწიფოს ეკონომიკაა, უფრო მეტად, დამოკიდებული მინერალური რესურსის იმპორტზე?

ა. რუსეთის

ბ. იაპონიის

გ. აშშ-ს

დ. გაერთიანებული სამეფოს

16. რომელი რეგიონის ტერიტორიაზეა უფრო ფართოდ გავრცელებული რელიეფის ვულკანური ფორმები?

ა. გურიის

ბ. აფხაზეთის

გ. სამცხე-ჯავახეთის

დ. იმერეთის

17. რომელია გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური ენა?

ა. ესპანური

ბ. პორტუგალიური

გ. გერმანული

დ. იტალიური

18. რომელ სახელმწიფოშია მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უფრო დაბალი?

ა. მონაკოში

ბ. ჩინეთში

გ. ინდოეთში

დ. იაპონიაში

19. რომელი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული აღმოჩენა გაკეთდა ფერნანდო მაგელანის მოგზაურობის შედეგად?

ა. აღმოჩენილ იქნა ახალი მიწები, კერძოდ ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა

ბ. დამტკიცდა მსოფლიო ოკეანის მთლიანობა

გ. აღმოჩენილ იქნა ინდოეთისკენ მიმავალი საზღვაო მარშრუტი აფრიკის შემოვლით

დ. დამტკიცდა სამხრეთის პოლარული კონტინენტის არსებობა

- შესაბამისობის დადგენა

### ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

20. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	უახლესი გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები		ქვეყანა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოები
ა	სლოვაკეთი	1	იუგოსლავია
ბ	სლოვენია	2	საბჭოთა კავშირი
გ	ყირგიზეთი	3	ჩეხოსლოვაკია
დ	ხორვატია		
ე	ესტონეთი		
ვ	სერბეთი		
ზ	მოლდოვა		

21. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

ფოტო

ა



ბ



გ



დ



ე



ვ



სოფლის მეურნეობის დარგი

1

2

3

მებაღეობა-მეზოსტნეობა

მებაღეობა-მევენახეობა

მემარცვლეობა / მარცვ. კულტურების მოყვანა



22. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

კონტინენტის ავტოქტონური მოსახლეობა

ა		ბ	
ბ		ე	

კონტინენტი

1	2	3	4	5
აფრიკა	აზია	ევროპა	ჩრდილოეთი ამერიკა	სამხრეთი ამერიკა

23. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოორება შესაძლებელია):

ფოტო







ა		ბ	ბ
დ		ე	ვ

სტიქიური მოვლენა

1	2	3	4
მეწყერი	მიწისძვრა	ვულკანის ამოფრქვევა	ღვარცოფი

24. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

I ჩამონათვალი

<p>ა</p> 	<p>ბ</p> 	<p>გ</p> 
<p>დ</p> 	<p>ე</p> 	<p>ვ</p> 

II ჩამონათვალი

1	2	3	4
თემატური რუკა	გეგმა	ტოპოგრაფიული რუკა	ფიზიკური რუკა

25. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):


	დაცვის ობიექტი		დაცული ტერიტორია
ა	უთხოვარის ტყის კორომი	1	ლაგოდების ნაკრძალი
ბ	აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი	2	ვაშლოვანის ეროვნული პარკი
გ	ჭარბტენიანი ლანდშაფტები	3	ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალი
დ	კავკასიური როჭო	4	კოლხეთის ეროვნული პარკი
ე	ძელქვის ტყის კორომი		
ვ	არიდული ლანდშაფტები		

- რუკის ანალიზი

### ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ რუკებს (კონტურული, ფიზიკური და ტოპოგრაფიული) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

26. (5) საქართველოს რუკაზე გამოყოფილია არეალები, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა სამეცნიერო და სამოყვარულო კვლევებისთვის. ყურადღებით გაეცანით რუკას და უპასუხეთ კითხვებს:



26.1. რომელი არეალები გამოირჩევა ფრინველთა სახეობების მრავალფეროვნებით და ყველაზე მეტად ხელსაყრელია გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ჩასატარებლად?

ა. I და III; ბ. II და V; გ. VII და IX; დ. VIII და XI.

26.2. რომელ არეალებშია ყველაზე მეტად საინტერესო გლაციოლოგიური კვლევა?

ა. IX და X; ბ. VII და VIII; გ. II და V; დ. III და VI

26.3. რომელ არეალებშია მიზანშეწონილი მოპოვებითი მრეწველობის საწარმოების ფუნქციონირების შედეგად დეგრადირებული ტერიტორიების გარემოსდაცვითი მონიტორინგი?

ა. III და VI; ბ. II და V; გ. IV და IX; დ. I და X.

26.4. რომელ არეალებშია ყველაზე მეტად საინტერესო სპელეოლოგიური კვლევა?

ა. I და III; ბ. V და VI; გ. II და VII; დ. VIII და XI.

26.5. რომელ არეალშია შესაძლებელი ვულკანური წარმოშობის ტბების კვლევა?

ა. VI; ბ. VIII; გ. IX; დ. XI.

27. (6) ტოპოგრაფიული რუკის გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს (დავალების შესრულებისთვის გამოიყენეთ თანდართული ტოპოგრაფიული რუკა):

27.1. დაახლოებით რამდენი მეტრია მ. თეთრას აბსოლუტური სიმაღლე?

ა. 170,9

ბ. 175,9

გ. 180,9

დ. 185,9



(დავალების შესრულებისთვის გამოიყენეთ თანდართული ტოპოგრაფიული რუკა).

27.2. რომელი მთა მდებარეობს მ. გომიდან დაახლოებით  $10^0$  აზიმუტით?

ა. კიჩო





ბ. შოდა

გ. მელთა

დ. თეთრა

(დავალების შესრულებისთვის გამოიყენეთ თანდართული ტოპოგრაფიული რუკა).

27.3. რომელი გრაფიკი შეესაბამება მ. კიჩოდან მ. გომამდე რელიეფის პროფილს?




(დავალების შესრულებისთვის გამოიყენეთ თანდართული ტოპოგრაფიული რუკა).

27.4. (1) რომელია მდ. ჭკუდის მარჯვენა შენაკადი?

27.5. (2) რომელი მთა: თეთრა, კიჩო, გომი თუ მელთა, არ გამოჩნდება A წერტილიდან? პასუხი დაასაბუთეთ.





**რელიევი**



• 216.4 • 198.8

/ 208.8



• • • • •

ფიჭ. ჭ 24  
0.30

არყ. ჭ 15  
0.20

ნად. ჭ 20  
0.25

ჭ 16  
0.30

• • • • •

ა ზ ბ

• • • • •

• • • • •

ა ბ

ა ბ

ა ბ

• • • • •

ძირითადი პორიზონტალები გავლებულია ყოველ 2.5 მეტრში  
 ა) ძირითადი პორიზონტალები  
 ბ) ძირითადი გამსხვილებული პორიზონტალები  
 გ) დამატებითი პორიზონტალები (ნახევრადპორიზონტალები)  
 დ) პორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში  
 ე) კალთის დახრის მანქანებლები (ბურჰმტრისები)

ა) ძირითადი სიმაღლის ნიშნულები ბ) სიმაღლის ნიშნულები

სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით  
 ფლატე (ბეჟი) (3-ხრამის სიღრმე მ-ში)  
 ყორღანები (2-ყორღანის სიმაღლე მ-ში)

ორმოები (3-ორმოს სიღრმე მ-ში)  
 ხრამებისა და ღარტაფების სივანე ა) 3-ზე ნაკლები;  
 ბ) 3-დან 10 მ-მდე (3/2-ხრამის მახასიათებლები, 3-სივანე ზედაპირთან, 2 სიღრმე მ-ში); გ) 10-ზე დიდი გამოსახება რუკის მასშტაბში (2 ხრამის სიღრმე)

**მცენარეული საფარი და ბრუნტი**

მცენარეული საფარისა და გრუნტის საზღვრები და კონტურები

წიწვოვანი ტყე

ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე

ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 16-საშუალო სიმაღლე; 0.30 - მერქნის საშუალო სისქე, 5-სივანე შორის საშუალო მანძილი

ბუჩქნარის ვიწრო ზოლები

ცალკეული ფოთლოვანი კორომები

ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფოთლოვანი

ცალკე მდგომი ხეები, რომელთაც არ გააჩნიათ ორიენტირის მნიშვნელობა

ახალგაზრდა წიწვოვანი (წვრილნაზარდი) ტყე

ტყეში არსებული განეხილი გზების სივანე (4-განეხილი გზის სივანე მ-ში)

ა) მესხერი ტყე  
 ბ) განეხილი ტყის ნაკვეთები






















ბუჩქნარი ა) ცალკე მდგომი ბუჩქები და ბუჩქების დაჯგუფებები; ბ) ხშირი ბუჩქნარი (2-ბუჩქნარის საშუალო სიმაღლე მ-ში)

ა) მღვლო 1-მეტრზე ნაკლები სიმაღლის ბალახის ტიპის მცენარეულობით; ბ) ხეხილის ბაღები

ა) ხსნავე მიწები  
 ბ) ბოსტნები

ხის ღობეები, მესერი, ღობეწუნულები

**საბზაო ქსელი**



ორლიანდაგიაანი რკინიგზა

ვიწროლიანდაგიაანი რკინიგზა

ჯისურები, ყაზარმები, გზის ქვეშ არსებული მიწები

ნაღრმავებებში და მიწაყრილებზე გაყვანილი რკინიგზები (2-ნაღრმავების სივანე მ-ში; 4-მიწაყრილის სიმაღლე მ-ში)

გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის სივანე, 17-მთელი გზის სივანე სანიღვრეების შორის მ-ში. ა-საფარის სახეობა), კილომეტრების ნიშნები. კილომეტრების წარწერები.

გზატკეცილი

გაუმჯობესებული გრუნტის გზები (4-სავალი ნაწილის სივანე მ-ში)

გრუნტის გზები

მინდვისა და ტყის გზები

გზების, მდინარეების, არხების გასწვრივ არსებული ნარგავები

ხიდების მახასიათებლები: 30-სივანე მ-ში, 5-სავალი ნაწილის სივანე მ-ში, 5-ტვირთამწყოთა ტ-ში

ხიდები, რომელთა სივანეა: 1) 30-ზე ნაკლები; 2) 3-დან 13 მ-მდე

3 მ-მდე სივანის მშრალი არხები

დამბები, ხელოვნური მიწაყრილები (1 - სიმაღლე მ-ში)

ტყე (169.1 - ჭის მიწისიპრა ნიშნული, 3-5 - ჭის სიღრმე წყლის დონემდე და ფსკერამდე მ-ში)

წყაროები

დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები

სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლების კვარტლები ცეცხლგამძლე და ცეცხლსაშიში ნაგებობებით

კვარტლებს გარეთ საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები ა) ცეცხლგამძლე ბ) ცეცხლსაშიში

სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლებებში სახლების რაოდენობა

20-დან 100-მდე

(45 - სახლების რაოდენობა)

20-ზე ნაკლები

ცალკეული ადგილობრივი ნაგებობები

მსუბუქი კონსტრუქციის ანძები

ეკლესიები

ბოძებზე დამაგრებული გადახურვები


ქარხნები საკვაშური მილით

ღია ტიპის კარიერები: თიხ- მოპოვებული მასალა, 10 - კარიერის სიღრმე მ-ში

კავშირგაბმულობის საბაჟო საზღვრები (სატელეფონო, სატელეგრაფო, რადიო და სხვ.)

ხშირი მცენარეულობით დაფარული სასაფლაოები

▲ 198.4  
197.9



სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები (მრიცხველი პუნქტის ცენტრალური ნიშნული. მნიშვნელოვანი ნაკვეთის ნიშნული)

**ჰიდროგრაფია**

შრობადი ნაკადები

სანაოსნო მდინარეები

ა) ტბორი ბ) 100 მ-ზე ნაკლები სიგრძის კაშხალი, ავტორანასპორტისთვის გაუვალი

მდინარეები და ნაკადულები: 1) 3 მ-მდე, 2) 5 მ-მდე, 3) 5 მ და მეტი სივანის გამოხატება რუკის მასშტაბში

წყლის კიდის ნიშნულები

ისრები უწყვეტ მდინარის დინების მიმართულებას (0.4-დინების სიჩქარე მ/წმ)

მდინარეების მახასიათებლები: 10-სივანე, 1.2 - სიღრმე მ-ში; ქ - გრუნტის ტიპი

ფონები და მათი მახასიათებლები: 0.5 - სიღრმე მ-ში, 10 - ფონის სივანე, 0.4 - დინების სიჩქარე მ/წმ

ხიდები ლითონის ერთოდიანი

ხიდები ხის ერთოდიანი

**ტოპოგრაფიულ რუკაზე მიღებული უპროკლეპები**

ა	ასფალტი	ავ.	ავთვის
ჯ	ჯისური	ქ	ქვიშის
რქ.	რუის ქვა	ტბრ	ტბორი
არყ.	არყის ხე	პრ.	პროექტორის ანა
ფიჭ.	ფიჭვის ხე	წ	წყარო
ნად.	ნადის ხე	სს	სოფლის საკრებულო
წს.	წყალსაქანი	მე	მყარი
თიხ	თიხა	კრამ.	კრამიტის ქარხანა
სჭ.	საორიენტაციო ჭა	სკ.	სკოლა
ყაზ.	ყაზარმა	ქმ.	ქვიშის კარიერი
ლ.	ღამი		

**დავალება 27.**  
**I ვარიანტი**



- ინფორმაციის ტრანსფორმაცია

### ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

28. (5) გაანალიზეთ დიაგრამებზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ნავთობის ფასის დინამიკა მსოფლიოს ბაზარზე ბოლო 5 წლის განმავლობაში (ბარელი / აშშ დოლარი)



28.1. (1) აღწერეთ რა ტენდენცია შეინიშნებოდა 2014 წლის განმავლობაში მსოფლიოში ნავთობის ბაზარზე?

28.2. (1) განსაზღვრეთ ბოლო 2 წლის განმავლობაში მსოფლიოში ნავთობის ბაზარზე შექმნილი ტენდენციის გამომწვევი ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი.

28.3. (1) ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკ-კეინმა რუსეთი შეადარა ბენზინგასამართ სადგურს. გამოიყენეთ მოცემული დიაგრამები და ახსენით, რის საფუძველზე გააკეთა მან ეს შედარება?

28.4. (2) მსოფლიოში ნავთობის ბაზარზე არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში რუსეთის ეკონომიკა პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. დაასახელეთ ერთ-ერთი სავარაუდო პრობლემა და ახსენით ამ პრობლემის არსი.



- ტექსტის ანალიზი

### ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

## 29. (12) გაანალიზეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

### სამეგრელო-ზემო სვანეთი

სამეგრელო-ზემო სვანეთი ორი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციისაგან შედგება. რეგიონის ფართობი 7,44 ათასი კმ<sup>2</sup>-ია, ხოლო მოსახლეობა 476,3 (2014 წ.) ათასი კაცი. ურბანიზაციის დონე 40%-ია. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ზუგდიდი. მოსახლეობის დაახლოებით 18%-ს იძულებით გადაადგილებული პირები შეადგენენ. ამ მაჩვენებლით რეგიონი მხოლოდ თბილისს ჩამორჩება.

რეგიონი, რელიეფის თვალსაზრისით ორ - სამხრეთის ვაკისა და ჩრდილოეთის მთიან ნაწილებად იყოფა. მაღალმთიანი რელიეფი ძირითადად ზემო სვანეთში (ტერიტორიის 96% ზღვის დონიდან 1000 მ-ზე, ხოლო 65.8 % – 2000 მ-ზე მაღლა) წარმოდგენილია: სვანეთის კავკასიონით, სვანეთის, ეგრისისა და კოდორის ქედებით. რეგიონში ფართოდაა გავრცელებული კარსტული მასივები (ყვირას, მიგარიის და ასხის).

მრავალფეროვანია სამეგრელო-ზემო სვანეთის ჰავაც. მის დაბლობ ნაწილში იანვრის საშუალო ტემპერატურა +4<sup>0</sup> +6<sup>0</sup>C-ია, ივლისის კი +22<sup>0</sup> +23<sup>0</sup>C. ნალექები (1500-2000 მმ) მთელი წლის განმავლობაში თანაბრად ნაწილდება. ზემო სვანეთის ქვაბულში ჰავა უფრო კონტინენტური და მშრალია.

რეგიონში წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ყველა ლანდშაფტი, დაწყებული ზღვისპირა და დამთავრებული ალპურით და ნივალურ-გლაციალურით.

რეგიონი მდიდარია შიდა წყლებით. აქ გაედინება მდინარეები: ენგური, რიონი, ცხენისწყალი, ტეხური, ხობისწყალი და სხვ. ტბებიდან ყველაზე დიდია პალიასტომი. აქ საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე ფართოდაა წარმოდგენილი თანამედროვე გამყინვარება. ზემო სვანეთის მდინარეების რეჟიმს მყინვარები განსაზღვრავენ: წყალდიდობების დროს წყლის მაქსიმალური დონე ზაფხულშია, დონეთა დღეღამური მაქსიმუმი - სადამოლობით, ხოლო მინიმუმი - დილით. რეგიონი მდიდარია მინერალური წყლებით.

მხარის ტერიტორიაზე ერთი ეროვნული პარკი, ერთი აღკვეთილი და ბუნების რამდენიმე ძეგლია.

ეკონომიკაში დიდია ხე-ტყის და კვების მრეწველობის წილი. სამრეწველო პროდუქციის უდიდესი ნაწილი ქ. ზუგდიდსა და ქ. ფოთში იქმნება. ქ. ფოთი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სატრანსპორტო კვანძია.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან სამეგრელოში განვითარებულია, როგორც მემცენარეობა, ასევე მეცხოველეობა. ზემო სვანეთში კი, ძირითადად მესაქონლეობაა წარმოდგენილი. უკანასკნელ წლებში რეგიონის ეკონომიკაში სულ უფრო იზრდება ტურიზმის როლი.

29.1. (1) რომელია რეგიონში შემავალი თვითმმართველი ქალაქი?

ა. ფოთი; ბ. სენაკი; გ. აბაშა; დ. წალენჯიხა.

29.2. (1) ჰავის როგორი ტიპია გავრცელებული რეგიონის დაბლობ ნაწილში?

ა. ხმელთაშუაზღვიური; ბ. ნოტიო სუბტროპიკული; გ. მშრალი სუბტროპიკული; დ. ძლიერ მშრალი სუბტროპიკული.

29.3. (1) გამოთვალეთ დაახლოებით რას უდრის რეგიონში სოფლის მოსახლეობის რაოდენობა? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

29.4. (1) რით აიხსნება მხარის ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა ასეთი დიდი კონცენტრაცია?

29.5. (1) რომელი აღკვეთილი მდებარეობს რეგიონის ტერიტორიაზე?

29.6. (1) ტექსტიდან გამომდინარე, ახსენით რით არის გამოწვეული ზემო სვანეთის სოფლის მეურნეობის სტრუქტურა?

29.7. (2) დაასახელეთ ტურიზმის ერთ-ერთი სახეობა, რომლის განვითარების რესურსი გააჩნია რეგიონს. ახსენით თქვენი მოსაზრება.

29.8. (2) რომელია რეგიონის უმაღლესი მწვერვალი და რომელ ქედზე მდებარეობს იგი?

29.9. (2) ახსენით რით არის გამოწვეული ტექსტში აღწერილი მყინვარული საზრდოობის მდინარეების ამგვარი რეჟიმი?